პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
30
ოქტომბერი
№ 255
(16381)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИН. ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ხუთწლეულის ყოველი დღე — დამკვრელური შრომითის ვახტაზე — — —

ზესტაფონი. ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ზესტაფონელი მეტალურგები, ბევრმა ბრიგადამ, საამჭრომ უკვე გაანაღდა ხუთწლიანი დავალება.

— პირველი გამარჯვება მოიპოვა № 1 საამჭროს კოლექტივმა, რომელმაც 9 ოქტომბერს დაძლია ხუთწლიანი პროგრამა, აწარმოა 154 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქცია.

საამჭროს კოლექტივმა გადაწყვიტა დადგეს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ შრომითს ვახტაზე და იკისრა ვალდებულება წლის ბოლომდე დამატებით კიდევ გამოუშვას 800 ათასი მანეთის პროდუქცია.

ხერათაზე: ფეროშენადნობთა ქარხანაში ავტორიტეტით სარგებლობს მდნობელთა ბრიგადა, რომელსაც მ. ლომსაძე ხელმძღვანელობს; გაიცანით ამ ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ვ. ურიადმყოფელი, ა. ლელაძე, მ. ლომსაძე, ო. გიორგაძე და ა. არაბიძე. ახლინ მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ.

ვ. მირგაზნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის შესახვედრად

მოახლოვდა სახელოვანი რევოლუციური დღესასწაული. კიდევ რამდენიმე დღე და საბჭოთა ხალხი სახეგაბრწყინებული, ხელდამშვენებული მიეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავს.

ჩვენში ტრადიციად იქცა, სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირველი წლებიდანვე მტკიცედ დამკვიდრდა, რომ დიდი ოქტომბრის ღირსეული შეხვედრისათვის გულმოდგინედ ემზადებოდეს თვითეული შრომითი კოლექტივი, თვითეული საბჭოთა ადამიანი.

და ახლაც, შემოდგომის ამ მოუსვენარ დღეებში დაუსრულებლად გაისმის ჩვენი ხალხის დამკვრელური შრომის პატრიოტული შემართების მაუწყებელი ხასხასა ულო პატკები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რის კეთილი ნებისყოფა შეუძლიათ თავიანთ ნათელ მომავალში დარწმუნებულ ადამიანებს, რომლებიც გულდაჯერებით მიმავალიან ოქტომბრის მიერ ნაჩვენებ დიადი გარდაქმნების და განახლების გზას.

ამ დღეებში მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელ პლანეტას მოედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხოქტომბრო მოწოდებათა სიტყვები. ეს სიტყვები ალაფრთოვანებს მილიონობით ადამიანს, აღანთებს მათ სოციალიზმისა და პროგრესისათვის ხაბრძოლველად. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და შრომობდეს, თვითეული პატიოსანი შრომელი ლენინური პარტიის მგზნებარე მოწოდებებში აუცილებლად იპოვნის უშუალოდ მისადმი მიმართულ სტრიქონებს.

წლევანდელი წინასოქტომბრო დღეები განსაკუთრებულია. მას ახასიათებს პარტიის XXV ყრილობისათვის სამზადისი, მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებისათვის დიდი წადილით გამოწვეული ადამიანთა მაღალი შრომითი აქტივობა, სოციალისტური შეჯიბრების არნახული ალმავლობა. ამის თვალსათლივი დადასტურებაა ის თვალსაჩინო წარმატებები, რასაც ყოველდღიურად აღწევენ საქართველოს შრომელები.

სულ ახლახან, 22 ოქტომბერს რესპუბლიკის მრეწველობამ ქვეყანას მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის 10 თვის გეგმის შესრულება აუწყა. ეგზარიტი გმირობა გამოიჩინეს ჩვენმა მეჩაიეებმა, რომლებმაც 334 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს. მათ 155 ათასი ტონით გადააჭარბეს მეცხრე ხუთწლედის დავალებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიაში სარეკორდო მოსავალი — 400 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფეს მევენახეებმა, რომლებიც კვლავ აგრძელებენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის რეკორდს.

ასობით შრომითმა კოლექტივმა, ათასობით ქალაქისა და სოფლის მშრომელმა, რომელთაც ვალდებულება ჰქონდათ ნაკისრი წლეულს 7 ნოემბრისათვის შეესრულებინათ პირადი ხუთწლიანი გეგმები, ამ დათქმული ვადასაც არ დაელოდნენ, პირობა უკვე გაანაღდეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა რიგებს ამ ყოველ წინასოქტომბრო დღეს უერთდებიან სულ ახალ-ახალი კოლექტივები, ცალკეული მშრომელები: მეტალურგები და მეშახტეები, მეცხოველეები და მებოსტნეები, მდარავები და მშენებლები, მეცტრუსეები და მეხილეები, რკინიგზელები და საყოფაცხოვრებო ხეფროს მუშაკები...

— **საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის! იბრძოლეთ 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებათა დამთავრებისათვის!**

ახლა, ოქტომბრის დღესასწაულის ზღურბლზე, კიდევ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, მდიდრდება იგი მილიონთა შემოქმედებითი ძიებით, ახალი ფორმებითა და ორგანიზატორული მუშაობის შესანიშნავი გამოცდილებით. ყოველდღიურად ებადება, ჩნდება საყურადღებო ინიციატივა და თაოსნობა, რომლებიც სწრაფად პოულობენ მხარდაჭერასა და გავრცელებას.

— ამ ხუთწლედის წლებში, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — განსაკუთრებული ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მისი ფორმაც და შინაარსიც ახლა მრავალმხრივ ახალია, შეესაბამება ქვეყნის განვითარების დონეს; ჩვენი მოძავლის მოთხოვნებს. ახლა შეჯიბრების მონაწილეთა დევიზია არა უბრალოდ მეტის გაკეთება, არამედ უკეთესისა და უფრო ეკონომიურის გაკეთებაც.

ხშირად უკეთ მუშაობის აუცილებლობას, ამ მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესების აუცილებლობას ითვალისწინებს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის ბრიგადის თაოსნობა. ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა რაციონალურად და რაც შეიძლება მაქსიმალური დატვირთვით გამოიყენონ თვითეული კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი. „ხელფასის ნახევარი — დაზოგილი თანხებიდან", — ასე გადაწყვიტა თბილისის ელექტროსამშენებლო ქარხნის ა. გელაშვილის კომპლექსურმა ბრიგადამ. ბევრი ადგილი სასარგებლო წამოწყებანი გამოჩნდა ამ დღეებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ეძებენ მეცხოველეობის განვითარების ახალ რეზერვებს.

მაგრამ ყოველივე ეს და სხვა წარმატებული მუშაობის მრავალი ფაქტი რიდი გვაძლევს თვითდამშვიდების, მიღწეულით დაკმაყოფილების უფლებას. ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ საამტო გეგმები და ჩვენი დანაპირები მთლიანად გავანაღდოთ. მრეწველობაში გასული სამი კვარტალის გეგმის შესრულების მაჩვენებლები იმასაც ნათლად მიუთითებენ, რომ ვერ შესრულდა კონსტრუქციებისა და დეტალების, ბამბეულის, შალის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, აგრეთვე სხვა სახეობის ნაწარმის გამოშვების გეგმები. ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ ჯერ კიდევ ვერ დაალწია თავი სამარცხვინო ჩამორჩენას და ზარალით მუშაობს. სასალხო მეურნეობის ზოგიერთ სხვა უბანზეც ვერ იყენებენ წინასწარ რეზერვებს, უზარმაზარ, უინიციატივოდ მუშაობენ.

დიახ, ყოველივე ამას ახლავე, საფუძვლიანი განსჯა სჭირდება და სწრაფი, უნარიანი მოქმედება.

ოქტომბრის დღესასწაულამდე ათ დღეზე ნაკლები დარჩა. თვითეულ კოლექტივსა ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, თუ კონკრეტულად რას გაკეთება შეიძლება ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად, ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ კონტროლი, მოვაგროვოთ შესრულების შემოწმება, მთელი მასობრივ-პოლიტიკური და ალმბრძოლველობითი მუშაობა გამოვიყენოთ გეგმების და ვალდებულებათა შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის, უფრო შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ბიუროკრატიზმსა და მოჩვენებითობას, გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას, ყოველმხრივ დავიცვათ სახალხო დოვლათი უპატიოსნო ადამიანთა ხელყოფისაგან.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხიბყვისა და საქმის ერთიანობას უზრუნველყოფს მხოლოდ დიდი ორგანიზებულობა, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განუხრელი განმტკიცება, თვითეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ყოველი ჩვენგანის თვითდისციპლინა და თვითკონტროლი.

ბუნებრივია, დიდი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო კადრებს. პარტიული ორგანიზაციების ინგარიშგება-არჩევნები, რომელიც ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, უნარიანად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ამაღლდეს თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა წარმოების ეფექტიანობის მაღალი დონისათვის, მომჭირნეობისა და ყირთიანობისათვის ბრძოლაში.

— **კომუნისტებო! იქადაგეთ სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო შოკრაობის აპარატში, მასების აქტიური ორგანიზატორები და ალმფრძოლელები!**

გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ნამდვილად სახალხო ხელისუფლების ორგანოებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური დემოკრატია, ფართოვდებოდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისადმი.



ელექტროგადამცემი ხაზი — სვანეთში

ვალდებულ ორ თვენახევრით ადრე დამთავრდა ხაიში-ლახამულა-მესტიის 82-კილომეტრიან ტრასაზე 110 კილოვოლტი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზისა და შესაბამისად ხაიში ქვესადგურის მშენებლობა. ეს არის კავკასიის „ელექტროქსელმშენის" ტრესტის მუშაკთა დიდი შრომითი გამარჯვება, რომლებმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად მესტიის რაიონი ნართეს საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში,

მშენებლებსა და მემონტაჟეებს მთელი ეს სამუშაო უნდა შეესრულებინათ 1975 წლის განმავლობაში. მაგრამ, უშუალოდ საქმის ხელი მოკიდეს მხოლოდ 10 აპრილს. მათ ხელი შეუშალა ზამთარმა და თოვამ, უგზოობამ. მაგრამ მშენებლობისათვის მზადება სწრაფი ტემპით წარმოდგა, იქმნებოდა კონსტრუქციები, წყლრიგზე მოჰყავდათ ტექნიკა. შეიქმნა № 1 მექანიზებული კოლონის სამშენებლო-სამონტაჟო უბანი, რომელმაც აამენა და დამონტაჟა ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგურის ელექტრონაწილის მონტაჟი კი შესრულა იმავე ტრესტის № 90 მექანიზებულმა კოლონამ. ბეიეტონი მუშაობდა დაახლოებით 150 მადალკვალიფიციური მშენებელი, მემონტაჟე, ელექტრიკოსი და მექანიზატორი. მეიბარე ბენგურის ვიწრო ხეობაში, დაძლიეს რა სიმაღლეთა თითქმის კილომეტრიანი განსხვავება, ხაძარკვლიბზე დამონტაჟეს საყრდენები უაღრესად რთულ პირობებში, აქ დროს გაუსწრეს, თანაც სამუშაოები შესრულდა მაღალხარისხოვნად.

აი ზოგიერთი დამახასიათებელი მონაცემი: აფეთქების წესით დამუშავებულია 10 ათასი კუბური მეტრი კლდოვანი გრუნტი მექანიკური საყრდენების საძირკვლებისათვის ქვაბულების მოსამზადებელად;

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში დამზადდა 3 კიბეზანი, შემდეგ დამონტაჟდა და დაიდგა ათას ტონაზე მეტი საერთო წონის 153 საყრდენი;

დამონტაჟდა 62 ტონა სადენი;

აშენდა და დამონტაჟდა ქვესადგურები ძალური მოწყობილობის მთელი კომპლექსითურთ.

ყოველივე ეს შესრულდა ვადამდე შრომის სწორი ორგანიზაციის, სამუშაოთა მექანიზაციის მაღალი დონის, ტექნიკური აზრის მიღწევებისა და კოლექტივების თვითეული წევრის პასუხისმგებლობის გრძნობის, მათი ენთუზიაზმის მეოხებით.

მესტიაში ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის უდიდესი სახალხო-სამეურნეო და სოციალური მნიშვნელობა აქვს მთელი რაიონისათვის. სამოდო საძირკველი ჩაეყარა ნოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციას. ეერთან ენერგოსისტემაში ჩართვა ბევრ რამეს იძლევა ეკონომიკისა და ყოფაცხოვრების პირობებში.

მშენებლებთან და მემონტაჟეთა მთელმა კოლექტივმა ჩინებულად თმუშავა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს, „კავკასიელექტროქსელმშენის" ტრესტის მმართველმა ნ. გუნცაძემ. — მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი განსაკუთრებით მინდა გამოვყო. მაგალითად, საერთო საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს № 1 მექანიზებული კოლონის უნინ უფროსმა მ. ხანანეშვილმა, № 90 მექანიზებული კოლონის უფროსმა ე. შათირიშვილმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა ა. მახარაძემ, შ. ბეალაკამ, ტ. ანაშიძემ, ი. კუნწაცოვმა, ახალგაზრდა ინჟინრებმა შ. ხარატიშვილმა, თ. კვაჭაძემ. შრომითი ენთუზიაზმის, მუშური გამჭრიახობისა და თავისი საქმის მაღალი შეგნების მაგალითი გვიჩვენეს მემონტაჟეებმა და მექანიზატორებმა დ. ალაკაძემ, ი. ხოფრომაძემ, დ. მაჭარაშვილმა, მ. ლომიძემ და ბევრმა სხვამ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომი და რაიალმასკომი მშენებლებს ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ სამუშაოთა პროცესში წამოჭრილი ყველა საკითხის გადაწყვეტაში. მშენებლობის წარმატებით დამთავრებაში დიდი როლი შეასრულა შემკვეთმა — „საქმთავარენერგომ", რომელმაც უზრუნველყო ელექტრომაღალი მოწყობილობის დროული და კომპლექტური მიწოდება. (საქინფორმი).

ვალდებულება გაანაღდეს

თბილისი. № 1 პურის ქარხნის კოლექტივი რიტმულად, გამართულად შრომობს, ბეგმეგს ხისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. საწარმოს კოლექტივმა წლის განვლილ პერიოდში 1211,7 ტონა პური გამოუშვა, ვგეგმა კი 1130 ტონას ითვალისწინებდა. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ეს მაჩვენებელი განვლილ პერიოდში 34,3 პროცენტით გაიზარდა. საწარმოში მტკიცედ ხორციელდება მომჭირნეობის რეჟიმი. ცხრა თვეში დაზოგილია 660 კილოგრამი ფქვილი.

რესპუბლიკის საწარმოთა შორის ნაკისრი ვალდებულების — ბეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 მილიონი მანეთის ნაწარმი, თავისი წვლილი შეაქვს № 1 პურის ქარხნის კოლექტივს. წლიური ვალდებულება 60 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა. ეს დაპირება ოთ თვეში გადაჭარბებით შესრულდა. ახლა კოლექტივი დგას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც ვ. ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. ეს შრომითი კოლექტივი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. ეს რეჟიმიას აცნობა ქარხნის დირექტორმა ვ. ჭორიძეს.

ეროვნული ეკონომიკა ოქტომბრიდან

სრულდება

აპარის ამს რესპუბლიკის საწარმოებმა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს — პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ათი თვის დავალება ვადამდე გაანაღდეს, პირნათლად განადგურდნენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

რესპუბლიკის საერეწველო საწარმოთა მიერ ნაკისრი ვალდებულების — 200 მილიონი მანეთის შეგეგმითი პროდუქციის გამოშვების საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკის ფაბრიკებმა და ქარხნების კოლექტივებმა. ცხრა თვეში დავალების ვადამეტებით გამოშვებულია 10,8 მილიონი მანეთის პროდუქცია, წლიური ვალდებულება კი 12 მილიონ მანეთს ითვალისწინებს. მიღწეული შედეგები იმას მეტყველებს, რომ აპარის სახელოვანი მუშათა კლასი დაპირებას ვადამდე გაანაღდებს და ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდება კომუნისტთა დიდ ფორუმს.

მეტი ყურძენი — საბჭოთა

საქართველოს ზვრებში კვლავ გრძელდება რთველი, 28 ოქტომბრისათვის მოკრეფილია 406.170 ტონა ყურძენი.

ყურძნის სახელმწიფოსათვის მიყიდვას ვალდებულებები გადამეტებით შეასრულეს აპარის ასსრ მევენახეებმა. მათ ნაცვლად 1.500 ტონისა სახელმწიფო მარაზნი უკვე მიიტანეს 1.690 ტონა ყურძენი.

ხაშურის რაიონის მევენახეებმა ნაცვლად გალდებულებათა გათვალისწინებული 1.460 ტონისა სახელმწიფოს მიაყიდეს 1.557 ტონა ყურძენი.

ხაშურეთს რაიონის მევენახეებმა ვალდებულებათ ხაფორიდეი 1.010 ტონისა სახელმწიფოს მიაყიდეს 1.078 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადების ვალდებულებები გადამეტებით შეასრულეს მახარაძისა და ლენინგორის რაიონებმა.

გეგეჭკორელ მევენეინდეთა ნოგაური

ბეგეჭპორის რაიონის მესიმინდეებმა წლეულს ბევრი დაპრკოლება ვადალახეს, რომ სიმინდის უხვი მოსავალი მიეღოთ. ენერგიულმა შრომამ, მინდობილი საქმის სიყვარულმა თავისი გაიტანა, რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვალდებულებით საგარაუდოზე 1.150 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიაყიდეს 1.741 ტონა სიმინდი, ამით გადამეტებით შესრულდა ხუთწლედის დავალებაც, ნაცვლად 5.865 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 5.867 ტონა სიმინდი.

დავალებათა შესრულებაში თავი გამოიჩინეს ხუნწეს, ნაგვაზაოს, ფიდი ჭყონის, ლენინდრაოს, თამაკონის, ბანძის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. სიმინდის დამზადება გრძელდება. ეს რიდაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ბეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ბეზარაშვილმ.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ამხანაგ ლე ზუანს

29 ოქტომბერს კრემლში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლე ზუანს.

საუბრის დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ლე ზუანმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ძმური ურთიერთობა. ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის შრომელთა პარტიის, სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მისწრაფება კვლავაც ყოველნაირად განამტკიცონ ორი პარტიისა და ქვეყნის მეგობრობა, გაღრმავონ მათი ორმხრივი ურთიერთობა და ურთიერთმოქმედება საერთაშორისო საქმეებში სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერებისა და შეკავშირების შემდგომი ზრდისათვის.

განიხილეს სხვადასხვა დარგში, მათ შორის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომავალი ხუთწლეულისა და შემდგომი პერსპექტივათა სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ლე ზუანმა იმსჯელეს აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. მათ გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ ვითარება მოითხოვს შემდგომ ყოველმხრივ ღონისძიებებს მშვიდობის განმტკიცებისა და თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის მტკიცე პატივისცემისა და სამართალ სამყაროში ურთიერთობის საწყისებზე სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამასთან აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მოქმედების შემდგომ განმტკიცებას, აღინიშნა, რომ საჭიროა თანმიმდევრული ბრძოლა იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის აგრესიული ძალების და მათი დამჭაბების წინააღმდეგ.

საუბარმა ძმური სოლიდარობის, მეგობრობისა და ამხანაგობის სულისკვეთებით ჩაიარა.

ბგეგმის გადამეტებით

ახმეტა. (სკკ. კორ.). სატყეო კომბინატის მშრომელებმა მაღალ ნაწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ხუთწლედის დამთავრებელი წლის განვლილ 10 თვეში. საერთო პროდუქციის გამოშვების ჯგუფმ კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა. ამავე პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის დავალება 104,9 პროცენტით არის განაღდებული.

კომბინატმა (დირექტორი დ. ბრეველაძე) 3.000 კუბური მეტრი სასაქმე დატალების ნაცვლად აწარმოვა 3:327 კუბური მეტრი, 176 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტის ნაცვლად 177.600 კვადრატული მეტრი.

ელექტროგადამცემი ხაზი — ლეგეხევში

ბაკურიანი. 29 ოქტომბერი. (საკადესის ყორ.). „რუსული ჰოსპიტალი კისლოვოდსკში ფუდამ მოგონებს კეინელებს იმ ფასდაუდებელ დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუწია კეინის ხალხს დამოუკიდებლობისა და ეროვნული განვითარებისათვის ბრძოლაში". ეს განაცხადა კეინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ჯეიმს ოსოგომ, როცა მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის გ. ს. ძოწენიძეს, ეროვნული ეკონომიკის მეთაურთა ბ. ს. ბოგატიროვის, ბ. ბ. ბაბაევის, ბ. ბ. ბაბაევის, ბ. ბ. ბაბაევ

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

სკკ XXV ყრილობის უსასახელოდ

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ესენი ისწრაფვიან თავდადებული შრომით განამტკიცონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, თავიანთი წვლილი შეტანონ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წინა ხაზზე არიან კომუნისტები. ეს სავსებით კანონზომიერიც არის: კომუნისტი, როგორც ეს სკკპ წესდებაშია ნათლად გამოხატული, იტიტარი მებრძოლი უნდა იყოს ახალი სიცოცხლის მშენებლობისათვის.

საერთო პარტიულ ოჯახში — პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც ჩვენი პარტიის საფუძველია, კომუნისტი იმალლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, გადას პარტიულ წერთნას, ყალიბდება როგორც პარტიელი. მოწინავე, თავდადებული პოლიტიკური მებრძოლი. პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში უკავშირდებიან კომუნისტებს ერთმანეთს და განამტკიცებენ მას მონოლითური ერთიანობით.

მშობლიური პარტიის ბეღთან კომუნისტის ბედის განუყოფლობის შეგნებაშია გრძნობას ძალიან მოკლედ და გამომხატველად ლენინურ პრინციპიულობს უწოდებენ. და პარტიის გადაწყვეტილებებში მთავარია მისი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ თვითეული კომუნისტი მუდამ შეიცნობდეს თავს პარტიის აქტიურ მებრძოლად. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ პარტიულობის ეს ჭეშმარიტად მაღალი გრძნობა ადამიანში სკკპ რიგებში ყოფნის პირველი დღეებიდანვე განვამტკიცოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და მოწინავე რაზმი — საქართველოს კომპარტია, რომელიც ამჟამად თავის რიგებში 300 ათასზე მეტ კომუნისტს ითვლის, ცდილობს იმას, რომ შემოქმედებს ყოველ უბანზე ადამიანები საქმისადმი პოლიტიკურ, მეცნიერულ მიდგომას იჩენდნენ, ითვალისწინებდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, პარტიის პროგრამის დებულებებს, უზრუნველყოფდნენ თეორიისა და პრაქტიკის, პოლიტიკური და სამეურნეო მოღვაწეობის, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ უკანასკნელი სამი წელი, როცა საქართველოს კომპარტიას, რომელიც ძლევს სუბიექტივიზმით და გოლუნტარიზმით წლების მანძილზე გამოწვეულ სიძნელეებს, ჩვენი რესპუბლიკა გაჰყავს მოწინავე პოზიციებზე საბჭოთა კავშირის მომავ რესპუბლიკათა თანავარსკვლავედში. მთელი ფრონტით გაიმალა ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად. ჩვენი საზოგადოების აქტიბოდებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ყველგან და ყველაფერში სრული წესრიგის დამყარებისათვის. სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ჩვენი მოღვაწეობის ყოველ უბანზე სულ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მუშაობის ლენინური სტილისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიც არის პასუხისმგებლობის ამაღლება, ინიციატივის განვითარება, ეფექტური საქმიანობა, შეგნებული დისციპლინის აღზრდა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა.

კომუნისტი მოწოდებულ მებრძოლია! თუ გონებით განვიცდიდეთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან ჩვენს დღეებამდე განვლილ პერიოდს, თვალწინ წარმოგვიდგებიან საქართველოს კომუნისტთა მთელი პლეადები, რომლებსაც სამშობლოს საკურთხეველზე მიჰქონდათ და მიაქვთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი გააჩნდათ და გააჩნიათ.

ახლოს გაეცანით 70-იანი წლების კომუნისტებს და დარწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში. თ. უუფუნია, ფ. ტაკიძე, კ. ლურიძე, ვ. პაპანიშვილი, მ. მექვეთრიშვილი, ა. ძამაშვილი, ბ. ვამაკიძე, ქ. გოგიტიძე, ა. კობაძე, ფ. ხვედელიანი... ყველას ვერ ჩამოთვლით. ისინი — როგორიც და ხელმძღვანელებიც, ბევრნი არიან ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში და სანამუშო მაგალითს იძლევენ მშრომელთა ფართო მასებს, თუ როგორ უნდა შრომა, სწავლა, ცხოვრება საყვარელი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ და სადიდებლად.

შორს წაგიყვანს ამ შრომითი კოლექტივების ჩამოთვლაც, მოგელთა ავანგარდში კომუნისტები არიან და რომლებიც ფეხს უწყობენ ახალ ცოცხალ ცხოვრებას, წარმატებით ათვისებენ თავს ხუთწლედის დავალებებს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელმაშვებული შეხვდნენ ჩვენი პარტიის XXV ყრილობას. საქართველოს მრეწველობის მუშაკებს თავიანთი წვლილი შეაქვთ წლეულს გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებაში, ხოლო სოფლის მეურნეობის მშრომელები ებრძვიან გეგმის გადამეტებით 120 მილიონი მანეთის პროდუქციის დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობამ ვადამდე, 24 სექტემბრისათვის შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, ზუგდიდის, ცხინვალის მთელი რიგი საწარმოო გაერთიანებების, კომბინატების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა შრომითმა კოლექტივებმა.

გულს გვიხარებენ სოფლის მეურნეობის მშრომელები. მხარეულ-მთესველებმა სახელმწიფოს ბეღელში უკვე შეიტანეს 170 ათასი ტონა მარცვლეული და ყველა საფუძველია ვფიქროთ, რომ ვალდებულებაც, რაც 200 ათას ტონას შეადგენს, აუცილებლად შესრულდება.

წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 334 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაშინ, როცა სახალხო-სამეურნეო გეგმა 295 ათას ტონას, ხოლო სოციალისტური გალდებულება 315 ათას ტონას ითვალისწინებდა. მეცხრე ხუთწლედის დავალების გადამეტებით მოკრეფილია 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მევენახეებმა და ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებმა. წლეულს მოწეულია ყურძნის რეკორდული მოსავალი, მეცხრე ხუთწლედში პირველად შესრულდა სახალხო-სამეურნეო გეგმა და გადაახალისა მეტად დიდნიშვნელოვანი მიჯნა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისტორიაში — მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 400.000 ტონა ყურძენი. ამასთან ჩვენი მევენახეები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან — ისინი განაგრძობენ ყურძნის კრეფას და ყოველ ღონეს ხმარობენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად თავიანთ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებენ აგრეთვე მეხილეები, მებოსტნეები, მეკარტოფილეები. ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად მეცხოველეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე დარგად გადაქცევა.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება და საჭიროა ხუთწლედის ფინიშამდე უზრუნველყოთ სამუშაოთა სწრაფი ტემპი, რათა მეოთხე კვარტალში აუცილებლად მივაღწიოთ მიზანს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მთელი რიგი სამინისტროები და საწარმოები ვერ ასრულებენ სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან სახეობათა ნაწარმის გამომვების დავალებებს. ასის უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

საწარმოთა მიერ დავალებების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ მათი ხელმძღვანელების მოუქნელ, უყურადრო მუშაობაში, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებაში. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა შრომისა და საწარმოო დისციპლინა. ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ ყოველივე ამასთან ერთად აღგილი აქვს შეფერხებებს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, არც თუ იშვიათია ნედლეულისა და მასალების დროულად მიუწოდებლობის ფაქტები.

ეს ნაკლოვანებები და ხარვეზები დროულად უნდა დავძლიოთ, რომ მივაღწიოთ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედად დასახული გეგმების გადამეტებით შესრულებას. ამ საქმეში მთავარი როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, შრომითთა კოლექტივების კომუნისტმა ხელმძღვანელებმა, თვითეულმა კომუნისტმა.

წლეულს სოფლის კომუნისტები ფიდ გამოცდას აბარებენ. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სამშობლომ გეგმის გადამეტებით უნდა მიიღოს დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები კომუნისტების, ყველა მშრომელის მთელ ძალას მოახმარენ ამ ამოცანათა წარმატებიდ გადაწყვეტას. ამისათვის კი საჭიროა სრულყოფილ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები, ავამაღლოთ მომხოვნელობის დონე, განვამტკიცოთ შრომის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, სათავეში ჩავუდგეთ მასების საწარმოო-პოლიტიკურ აქტივობას.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვეღოთ ბოლო უგულგულობას, უყაირათობას, უდარდელობას, დოყლაპაობას, დანაშაულებრივ მოქმედებას, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს. რამდენად სავალალო და სამწუხაროა, რომ დამნაშავეთა შორის ჯერ კიდევ ვხვდებით კომუნისტებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ, სახელს უტეხენ ჩვენს პარტიას. მაგალითად, სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკის ყოფილი დირექტორი შ. ვეგაზავა სათავეში ედგა ბოროტმოქმედთა ჯგუფს, რომელმაც მაქინაციებით დიდძალი სახელმწიფო თანხა მითვისა. შ. ვეგაზავა გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან და სოციალისტური ქონების მითვისებისათვის 12 წლის პატიმრობა მიესაჯა. მსგავსი ამბები ხდებოდა სოხუმის საქსოვ ფაბრიკაში, სადაც დირექტორად ბ. ალანია, ხოლო მთავარ ინჟინრად ბ. გაჩავა მუშაობდნენ. ფაბრიკაში მოკალთებული საქმანანთა ჯგუფი მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა სახელმწიფო დოვლათის დატაცებას, ეგრეთ წოდებული „მარცხენა“ საქონლის დამზადებას, რაც შემდეგ გაჰქონდათ და რეალიზაციას უკეთდებდნენ. ყველაფერ ეს კი კეთდებოდა, როგორც იტყვიან, ღღისით მზისით, ფაბრიკის კომუნისტების თვალწინ, კომფლინტი დირექტორის ბ. ალანიასა და მთავარი ინჟინრის კომუნისტ ნ. გაჩავას თვალწინ. მათ კი თავე ისე ეჭირათ, ვითომც ეერაფერს „ვერ ამჩნევდნენ“. ამიტომ სწორად მოქცეა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტი, რომელმაც სკკპ რიგებიდან გარიცხა ალანია და გაჩავა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ფაბრიკაში ჩადენილ ბოროტებას სათანადო შეფასება არ მისცა და როგორც ალანიას, ისე გაჩავას პარტიული სასჯელები აკმარა.

მოვიყვანთ კომუნისტთა უკანონო მოქმედების კიდევ ასეთ ფაქტს:

ს. სალაძე და ი. გოგუაძე, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ქედის რაიონის სოფელ კოლოტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად (პირველი მათგანი 1968 წლიდან 1972 წლამდე, მეორე — 1973-1974 წლებში), უხეშად არღვევდნენ საკოლმეურნეო წესდებას, სჩადიოდნენ დანაშაულს, უყაირათოდ ეკიდებოდნენ საკოლმეურნეო დოვლათს, ანიავებდნენ მას, არ იცავდნენ საფინანსო დისციპლინას. ეს იწვევდა კოლმეურნეთა სამართლიან უკმაყოფილებას. ამიტომ სავსებით სწორად მოიქცა პარტიის ქედის რაიკომი, როცა ისინი პარტიის რიგებიდან გარიცხა. მაგრამ მათ არასწორად მიიჩნიეს რაიკომის დადგენილება და პარტიის აპარის საოლქო კომიტეტში შეიტანეს აპელაცია, რომაც ითხოვდნენ პატიებას და პარტიის რიგებში დატოვებას. პარტიის აპარის საოლქო კომიტეტმა ძალაში დატოვა რაიკომის დადგენილება. ეს კიდევ ერთი მკაცრი გაკვეთილი უნდა იყოს ზოგიერთი კომუნისტისათვის, განსაკუთრებით ხელმძღვანელთათვის, ისინი ხომ ორმაგად პასუხისმგებელნი არიან მინდობილი საქმისათვის!

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას გარეკვნენ ამ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები კომუნისტთა მაღალი აქტივობით მიმდინარეობს. კრებებსა და კონფერენციებზე შექმნილი ჯანსაღი ვითარება ხელს უწყობს თვითეულ კომუნისტს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, გაბედულად ამხილოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, შეიტანოს თავისი შენიშვნები და წინადადებანი საქმიანობის გარეკვნილობისათვის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, კომუნისტთა ავანგარდული როლის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი მშობლიური პარტიის XXV ყრილობა გადაფრენს ახალ ფართო პოზიტიურ ნაბიჯებს. ეს მათ ეულ ალაძლევს სიამაყით მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, მისი დიდი საქმეებისა და ეთილშობილური მიზნებისათვის. ამიტომაც მუშაობენ ისინი დაკვრელურად წინასაყრილობა ღღეებში, რათა ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას.

დ. გელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ტყიბულელები რეზერვებს ავლენენ

რედაქციას შეასუხეს პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. შუხაკაძე

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია, სადაც დადებით ფაქტებთან ერთად მხილებული იყო ტყიბულის ზონის კოლმეურნეობებში პირუტყვის საკვების დამზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. შუხაკაძემ რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე და გატარებული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. ხენაკი დამზადდა 700 ტონა, ნაცვლად 500 ტონისა, თივა 600 ტონა, ნაცვლად 500 ტონისა. ასევე გამოსწორდა უხეში საკვების დამზადების საქმეც. ყველაფერი ვიღონეთ საკვების დამამზადებელი მანქანა-იარაღების შეუფერხებელი მუშაობისა და საკვების დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეების კვებით უზრუნველყოფისათვის.

ჩვენი ახალი ფოსტიდან

მკითხველმა წერილი გამოგზავნა

□ თბილისი. განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლთან შექმნა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის რექტორი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ო. დედაბრიშვილი. აქ წაკითხული იქნება ლექციები სსრკ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების, ჭირადი და საზოგადოებრივი მიგიენის, ფიზიკური კულტურისა და განმთელობის, დღეგრძელობის პრობლემების, ინფექციურ სნეულებათა პროფილაქტიკის და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ი. ფაჩულია.

□ ჩხოროწყუ. დანაშაულობათა აღკვეთის, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მიზნით სირიოზულ ფინანსიერებს ახორციელებენ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები.

ამას წინათ რაიონის პროკურატურამ, სასალხო სასამართლომ და შინაგან საქმეთა განყოფილებამ სოფელ ლესიჭინეში მოაწყეს ლექციო-მოხსენებების ციკლი. წაკითხულ იქნა მოხსენებები თემებზე: „სოციალისტური საკუთრება წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია“, „ქორწინება და ოჯახი სოციალისტურ საზოგადოებაში“, „საზოგადოების როლი დანაშაულობასა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში“.

დასასრულ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა ამომწურავი პასუხი გასცეს დამსწრეთა შეკითხვებზე.

ი. ნამუკელია.

□ ქობულეთი. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის წარმატებათა აღსანიშნავად ლენინის კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სოფლის მოწინავე მშრომელებისათვის მოაწყეს ექსკურსია მოძმე სომხეთის დედაქალაქში — ერევანში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობის 76 წევრმა. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქი ერევანი, მისი ღირსშესანიშნაობანი, აგრეთვე არქიტექტურის ძეგლები.

ა. ბერიძე.

□ გულრიფში. კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშა-მოსამსახურეები ახალ ადმინისტრაციულ შენობაში გადავიდნენ, სადაც მოთავსდა „სოიუზპეჩატის“ რაიონული განყოფილება, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა დაწესებულებები.

ბ. რამიშვილი.

□ ხარხორე. ჩიხის სასოფლო კლუბმა მოაწყო ზეპირი ჟურნალი თემაზე: „შრომით ვადიდოთ სამშობლო“.

მოხსენება თემაზე: „ღირსეულად შევხვდეთ XXV ყრილობას“ წაკითხა ჩიხის სასოფლო კლუბის აქტივისტმა ბ. ბაკობაშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ბ. ბაბანაძე.

სკოლა და ცხოვრება

პროფტექნიკური განათლების მუშაკთა სტუმრები

თბილისში სტუმრად არის მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ქალაქ მოსკოვის პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯ. პიმკინი. დელეგაციაში შედიან მოსკოვის № 38, 83 და 3 პროფტექნიკური სასწავლებლების დირექტორები ჯ. მასტროპუოლო, ლ. ლიუბიმოვა, ბ. ვესელოვი, № 139 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ბ. გორშკოვი, სოციალისტიური შრომის გმირი, № 117 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი მ. ერემეევა.

მოსკოვის პროფტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილებას, განიხილავენ სასალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების სხვადასხვა საკითხს, გაეცნობიან საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა მიღწევებს.

დაიდება ხელშეკრულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილებებს, ზონალურ და ლენინგრადის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოების შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ.

27 ოქტომბერს მოსკოველი ხტუმრები შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ი. შეგარდნაძეს და სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს.

ი. შეგარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს, გააცნო მათ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აჩქეს შემოქმედებითი კონტაქტების გაფართოებას მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა შორის.

მოსკოვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ჯ. პიმკინმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველ კოლეგებთან შემოქმედებითი კონტაქტების განვითარებას და მზად არიან ბაზისურად მათ ყოველივე საუკეთესო, რაც გაკეთდა ამ დარგში, თავის მხრივ შეისწავლონ ქართველი პედაგოგთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა მოწინავე გამოცდილება.

(საქინფორმი).

ალზრდას მიეძღვნა

„სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს ღირსეული შეხვედრა“ — ამ დეკემბერი მოაწყეს მესტიის რაიონის სამინისტრომ და საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სკოლა და მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდა“.

ჩვენი რესპუბლიკის შორეულ მაღალმთიან რაიონში ამ ფართო მასშტაბის ღონისძიებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საგულდაგულოდ მოემზადნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატის, სკოლისგარეშე დაწესებულებათა ბოლშევიკები.

კონფერენციის მომზადებისა და სკოლებისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით მესტიაში ჩაფიდა განათლების სამინისტროს, მისი სხვადასხვა დაწესებულების მუშაკთა ჯგუფი და რაიონის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების, თვითმოქმედებითი წრეების, სპორტული მუშაობის დასახმარებლად ჩაიტანა დიდძალი ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინოებანი, სპორტული ინვენტარი, მოსაცაღლური ინსტრუმენტები, ფრენგნები და სხვ.

ბელარუსი სხდომაზე მესტიის რაიონის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატის ფარმოდგენლებთან ერთად მოვიდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების, ყოფილ-ტანსაგანმანათლებელო დაწესებულებების, სპორტის, პრესის მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

მოხსენებით „მესტიის რაიონის ზოგადსაგანმანათლებელ სკოლების პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი ბ. სალარაძე. „სკოლა აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრია“ — ასეთი იყო ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. შ. ამონაშვილის მოხსენება. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდასთან და პიონერებთან მუშაობის განყოფილების გამგე რ. ღარიბაშვილმა წაიკითხა მოხსენება — „პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის“, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი ნ. შველიძე გამოვიდა მოხსენებით „სკოლა, ოჯახი, საზოგადოებრიობა“. სსრ კავშირის ბუდგაგიური მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი პროფესორი დ. ფელდშტეინი მსმენელთ ესაუბრა ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობის პრობლემურ საკითხებზე.

შემდეგ მუშაობა სექციებში გაგრძელდა. სულ მუშაობდა 4 სექცია: „სკოლის ფილოსოფიურ-ეთიკური“, „კლასის ხელმძღვანელთა“, „კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორთა“ და „უფროს პიონერ-ხელმძღვანელთა“ სექციებზე. სექციებზე წაკითხულ მოხსენებებში ფართოდ იყო გაანალიზებული რაიონის სკოლების გამოცდილება, მუშაობის შემდგომი სრულყოფის გზები.

ვ. სიმონიშვილი.



შეხვედრა

26 ოქტომბერს მდინარე ხრამის ნაპირზე თვალწარმტაცე ადგილას, წითელ ხიდთან, ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის სახელგანრზე გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდობის მეგობრობის დღესასწაული, რომელიც კომკავშვილის დაბადების დღეს მიეძღვნა.

ბატარა ბორცვზე წითელი ალმები ფრიალებენ. ირგვლივ აღფრთოვანებულა, მხიარული სახეები მოჩანს. ეს ამერიკაკავკასიის სამი რესპუბლიკის ახალგაზრდობის საუკეთესოთა შორის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, რომლებიც აქ შეკრებილნენ, რათა ერთხელ კიდევ ცხადყონ, თუ როგორ მტკიცე და ურყვევი ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, თვალი გადაავლონ გზას, რომელიც სახელოვანმა ლენინურმა კომკავშირმა განვლო. აქ შეკრიბნენ ისინი, ვისი ხელთ, ცოცხით, გამქრალი ბორბით, დამკვრელური შრომით მრავლდება ჩვენი რესპუბლიკების დიდება, ჩვენი ქვეყნის ძლიერება, ეინც შრომასა და სწავლაში, სამეცნიერო-ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში ზანილი წარმატებებით ეგებება სკკპ XXV ყრილობას.

ზუსტად 12 საათზე ეტლის სიბეთა კავშირის, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

აქ გამართულ მიტინგზე დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შარტავა, აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გუსეინოვი, სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. კოტანჯიანი, თბილისშვილნის № 15 სამშენებლო ტრესტის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ქართველიშვილი, სომხეთის სსრ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში ირულად საკავშირო ლამპრობის შტაბის უფროსი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ტ. ტუსუბაიევი, აზერბაიჯანის სსრ ქალაქ თაუზის 26 ბაქელი კომისრის სახელობის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნ. ტაგიევა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი პოეტი მ. ფოცხიშვილი.

ორატორებმა ილაპარაკეს 70-იანი წლების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაზე, რომლებიც ღირსეულად ატარებენ საბრძოლო და შრომით სახელო ელესტაფეტს, რომელიც გადმოსცეს მაგნტკისა და ნენბრჰეს მშენებლებმა, ილაპარაკეს ჯარისკაცთა სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ერთგულ ახალგაზრდა მეომრებზე, რომლებიც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას იცავენ დიდ სამამული ომში. მათ ილაპარაკეს საბჭოთა ხალხების მეგობრობაზე, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის და თვითეული რესპუბლიკის ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდაში სოციალისტური შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი როლის, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ შემოქმედებითი შრომის შესახებ. ამის მაგალითი მაგალითია ქალაქების ბაქოს, თბილისისა და ერევნის, ქუთაისის, კიროვაკანის, კიროვობადის, ყაზახის, იჯევანისა და მარნეულის რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება. და ამერიკაკავკასიის სამი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ნიშად აქ, წითელ ხიდთან აღიმართება მემორიალ-ობელისკი.

მიტინგის შემდეგ ამპრიოვიზებულ სცენაზე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საუკეთესო მხატვრულმა კოლექტივებმა დიდი კონცერტი გამართეს.

(საქინფორმი).

ქალთა კომიტეტი საწარმოში

ფუსრიბისა და დისციპლინის დაუცხრომელი გუშაგები

ლაგოდეხის ეთერზეთების ქარხანა მეტად საპირო პროდუქციას უშვებს. მას ფართოდ იყენებენ პარფიუმერიაში. ნაწარმის ესოდენ დიდი მნიშვნელობა მოეალი კოლექტივისგან მოითხოვს ზუსტად დაიცვას პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი.

ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ მხრივ ბევრი კარგი, პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებისგან გადაიღეს და დანერგეს მასობრივი მუშაობის, მასობრივი კონტროლის ახალი ფორმები და მეთოდები. მათგან აღსანიშნავია ქალთა კომიტეტი საწარმოში. იგი დიდ როლს ასრულებს როგორც წარმოებაში, ისე კოლექტივის სოციალურ-პოლიტიკური აღზრდის სფეროში. მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე, საწარმოო თათბირებზე ისინი გაბედულად აყენებენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

ქალთა კომიტეტი ფხიზელი გუშაგია საწარმოო და შრომის დისცი

ჟურნალისტის დღეს

29 ოქტომბერი

ამბები • ფაქტები



საკადრო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ედგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი. (საკადრო). პორტუგალიის პრეზიდენტი კოშტა გომეში შეხვდა კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელებს, რეგოლუციური საბჭოს წარმომადგენლებს, რათა გამონახონ გზები, რომ ქვეყანამ თავი დაიღწიოს სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისი. პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა ეს შეხვედრა შეაფასა როგორც კარგი დასაწყისი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაციას.

პორტუგალიის საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას უთმობს პორტუგალიაში გამართულ მიტინგზე პრემიერ-მინისტრ პინეიროუ დი აზევედუს გამოსვლას. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პორტუგალიელმა ხალხმა საკადრისი პასუხი უნდა გასცეს დემოკრატიულ და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ყოველგვარ მუქარას, სიდინანაკ არ უნდა მოდიოდეს იგი. მან მოუწოდა ქვეყნის მთელ პროგრესულ ძალებს, ერთიანობისა და სიფხიზლისაკენ. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა დაიცვან რეგოლუციის პრინციპები, რომლებიც მოცემულია შეიარაღებული ძალების მოძრაობის პროგრამასა და სხვა საპროგრამო დოკუმენტებში.

ხელისუფლებმა და შეიარაღებული ძალების სარდლობამ განაზორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ უკიდურესად მემარჯვენე ელემენტების ტეროროისტული საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ გაამწვავონ ქვეყნის მდგომარეობა.

უდიდესი წარმატება

მსოფლიო პრესა, კოსმოსური კვლევის დარგის სპეციალისტები დიდ ინტერესს იჩენენ წარმატებული კოსმოსური ექსპერიმენტისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა განახორციელა „ვენერა-9“ და „ვენერა-10“ ავტომატური სადგურების საშუალებით.

პრაღა. ვენერას კვლევის დარგში ახალი საბჭოთა ექსპერიმენტმა ახალი ეტაპი დასახა კოსმოსური სივრცის, მზის სისტემის პლანეტების შესწავლაშიც, აღნიშნავს „რუდე პრავო“. ბუნებრივია, რომ ამ ექსპერიმენტის უდიდესი შედეგია მორიგული პლანეტის პანორამული ფოტოსურათები. მისი ფოტოსურათები და სხვა მასალები, რომლებიც საბჭოთა სპალენეტთშორისო სადგურებიდან მიიღეს, უმდიდრეს ინფორმაციას აწვდიან მრავალი სპეციალობის მეცნიერებს.

სოფია. გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ ხაზს უსვამს: „საბჭოთა კოსმოსური მიღწევები — მიზნად ისახავენ მთელი კაცობრიობის კეთილ-დღეობას. საბჭოთა ადამიანებს სრული საფუძველი აქვთ იამაყონ თავიანთი წვლილით კოსმოსის ათვისებაში. ისინი სამყაროს საიდუმლოებათა აღმოჩენის პიონერები არიან. მათ წარმატებას ტაშს უკრავს მთელი მსოფლიო“.

ჟენევა. „ინტერფაქსი“ აღნიშნავს, რომ „ვენერას“ სადგურების მიერ გადმოცემული პლანეტის ზედაპირის ფოტოსურათები „დიდმნიშვნელოვანი წვლილი გახდა მზის სისტემის შესწავლაში“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სწორედ საბჭოთა კავშირმა შეძლო პირველად ეკეთებინა ვენერას ორბიტაზე საპლანეტთშორისო სადგურები, რომლებიც გადაიქცნენ ამ პლანეტის პირველ ხელოვნურ თანამგზავრებად.

ნიუ-იორკი. „საბჭოთა კოსმოსური მეცნიერების ახალი შესანიშნავი გამარჯვება“, — აღნიშნავდა „ვენერას“ საბჭოთა სადგურების მიერ განხორციელებული წარმატებული ექსპერიმენტი ვენერიანელების ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტის თავმჯდომარემ პ. ლანკოვიჩმა (ავსტრია).

საბჭოთა ავტომატურმა სადგურებმა განახორციელეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ექსპერიმენტები, რომლებიც დიდ წვლილს შეტანენ კოსმოლოგიაში, თქვა მან. კოსმოსის კვლევაში ეს ახალი გმირობა ემსახურება მთელი კაცობრიობის ინტერესებსა და იმ ერთა საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნებს, რომლებიც ეხმრჯფვიან მშვიდობიან თანამშრომლობას კოსმოსურ სივრცეზე ჩვენი წარმოდგენის გაფართოების საქმეში.

ინდური კალეიდოსკოპი

ბოკაროს ტემპები

სწრაფად იზრდება ბოკაროს მეტალურგიული კომბინატის საწარმოო ტემპები. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის ამ ერთ-ერთ უდიდეს ობიექტს მოწინავე პოზიცია უჭირავს ინდოეთის ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში. მარტო ივლისში, მაგალითად, კომბინატმა 82 ათასზე მეტი ტონა სხმული გამოუშვა.

ბოკაროს, ბაილარის და სახელმწიფო სექტორის სხვა მეტალურგიულ საწარმოთა შრომითი მიღწევები მოწმობს ამჟამად ინდოეთის მთავრობის მიერ წამოყენებული ამოცანის რეალობას — 2000 წლისათვის მიაღწიონ 75 მილიონი ტონა ფოლადის წარმოებას.

გამოიცემა პირველად

დასაბეჭდად მზადდება ინდოეთში პირველი სპეციალური კრებული, რომელიც ეძღვნება ინდოელ ქალებს, ქვეყნის პროგრესის საქმეში მათს წვლილს. ცნობარი მკითხველებს გააცნობს პოლიტიკურ და საზოგადო ლოგაწყვებს, მეცნიერ, იურისტ, მწერალ, ჟურნალისტ ქალებს. ცალკე თავი დაეთმობა პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის. კრებულის გამოცემა, ჰინდის, ურდუსა და ინგლისურის გარდა, გათვალისწინებულია აგრეთვე გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.

ოპერაცია „სპილო“

კამპანიას საშიში სახელი ჰქონდა — ოპერაცია „ვეფხვი“, — მაგრამ იგი პუმანურ მიზნებს ისახავდა — ვეფხვების კატასტროფული შემცირების შეჩერებას. ახლა იწყება ოპერაცია „სპილო“.

ბრაკონიერები, რომლებიც გატაცებული არიან დიდძალი ფულის მოგვნით, რასაც სპილოს ქმევიმნი უხდიან (წყვილში 50 ათასი რუპია), უმოწყალოდ ანადგურებდნენ ინდურ სპილოს. ცოლკეულ ჯოგებში მხოლოდ ათამდე სპილო შემორჩა, ნაცვლად 50-100-ისა. ამას გარდა, ტყის საკარგულების შემცირების გამო ეიუური სპილოები მათი გამრავლებისა და ცხოვრებისათვის შეუფერებელ ადგილებში მიდიან. ინდოეთის მთავრობა, რომელიც ითვალისწინებს ოპერაცია „ვეფხვის“ გამოცდილებას, აპირებს გაისად თვრეგალში ეიღიტ-ზოს არსებულ სპილოთა რაოდენობა. იგი მაგალითის შტატში დაიწყება, სადაც „სპილოს მოსახლეობის“ ყველაზე დიდი სიმჭიდროვეა.

ყველაზე პოპულარული ენა

რომა 1946 წელს დელის უნივერსიტეტში პირველად გაიხსნა რუსული ენის განყოფილება, მასში სტუდენტთა შორის ჯაფფი სწავლობდა. წლეულს 2135 აბიტურიენტიდან, ვინც ეროპული ენების ფაკულტეტი აირჩია, ნახევარზე მეტმა განცხადება რუსული ენის განყოფილებაზე შეიტანა. 1.190 კაცი სტუდენტი გახდა. აქედან 700 ახალგაზრდა რუსულ ენას დაეუფლება.

ახალი ამბების ხაგენტო.

ჟურნალისტთან დღეა ჟურნალისტებს

ბიბლიოთეკა

ლეგენდარული გმირი

1943 წლის 10 სექტემბერს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. მე-18 არმიის შენაერთებმა შავი ზღვის სამხედრო ფლოტთან ერთად ექვსი-ეული გააფთრებული ბრძოლების შედეგად მტერი გატეხეს ქ. ნოვოროსიისკთან და ეს ციხე-სიმაგრე, შავი ზღვის დიდნიშნელოვანი ნავსადგური, მოწინააღმდეგის ყველაზე ძლიერი ფორპოსტი ფაშისტების ხელიდან გამოგლიჯეს. ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში კვლავ ისახელა თავი ირკუტსკის გვარდიულმა მსრო ლ ე ნ მ ა დივიზიამ, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-მაიორი ბორის არშინცევი.

მე-18 არმიის ბრძანების შესაბამისად 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ფრონტის წინა ხაზზე უნდა შეეცალა ალნიშნული შენაერთი. ამასთან დაკავშირებით ვინსნი ბაკანსკის რაიონში 18 სექტემბერს შევხვდით ბორის არშინცევს, რომელიც დაუვიწყარი გახდა ჩემთვის.

დივიზიის მეთაურები ბორის არშინცევი და გიორგი ყურაშვილი ისე მიეხალმნენ ერთმანეთს, თითქოს დიდხანს ნაცნობები და მეგობრები ყოფილიყვნენ. ორივე მხარეს უკანდასკნელ მტერზე დევნის პირობებში, ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ საბრძოლო უნინის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გულდასმით განიხილეს, ყველა „წვრილმანი“ დეტალურად აწონ-დაწონეს, შეთანხმდნენ.

გენერალი არშინცევი საშუალო ტანის კაცი იყო, სიცოცხლით სავსე, ჯმუხი, მაგვარემანი, თავმდაბალი, სასიამოვნო მოსაუბრე. მის ყოველ სიტყვაში, ყოველ დასკვნაში ოვრნობოდა სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა და დიდი საბრძოლო გამოცდილება. ამბტომაც პირველი შეხვედრიდანვე დიდი სიმპათიითა და პატივისცემით გავიმსჭვალეთ მისდამი.

ბ. არშინცევი დაიბადა 1903 წელს ქ. გროზნოში, მუშის ოჯახში, 13 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა, 16 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში და ებრძოდა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში, 1920 წელს კი სულ ახალგაზრდა, შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

სამოქალაქო ომის შემდეგ მან დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, მეთაურობდა ოცეულს, ასეულსა და ბოლოს ათასეულს, ჩაირიცხა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში და მის დამთავრებისთანავე 1938 წელს გაუშვანეს შორეულ აღმოსავლეთში, შუმაობდა კორპუსის შტაბის უფროსად. იმავე წელს მონაწილეობა მიიღო იაპონელ სამურაიების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ხასანის ტბის რაიონში. 1940 წელს იგი გადმოიყვანეს მოსკოვში, ფრუნზეს სახელობის აკადემიაში. ორი წელიწადი იმუშავა აქ, ნოთელი არმიისათვის ამზადებდა მაღალკვალიფიციურ მეთაურთა კადრებს.

ბ. არშინცევმა დიდი ხამამული ომის პირველსავე დღეებში ხურვილი გამოთქვა ცეცხლის წინა ხაზზე მოხალისედ წასულიყო, მაგრამ მიზანს მხოლოდ 1942 წელს მიაღწია. იგი დანიშნეს ირკუტსკის 30-ე მსროლელი დივიზიის მეთაურად. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველგან ისახელა თავი, შენაერთს უნარიანად მართავდა, ოკუპანტებს აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში დივიზია გარდაიქმნა გვარდიულ დივიზიად, დაჯილდოებულ იქნა რამდენიმე საბრძოლო ორდენით.

30-ე მსროლელი დივიზია, ხარკოვის ბრძანებით უკან იხევდა სედოვსკი-კოპანი-ბალკა კოპანის ზღვიდან როსტოვის გამაგრებული რაიონისაკენ. ამ ოპერაციის განსორციელება მეტად რთული იყო, მაგრამ პოლკოვნიკმა არშინცევმა შესანიშნავად გაართვა მას თავი, მტერს გზაკვალი აუნია, ხშირად შეცდომაში შეაყვანდა.

მეთაურმა სამხედრო ემმაკობის ხერხები უნარიანად გამოიყენა. თავისი ნაწილების მოქმედება წინა ხაზზე ისე მოაწყო, რომ მტერი დეზორიენტირებული იყო. ამავე დროს მან შენაერთის ძირითადი ნაწილები მტრის შეუმჩნევლად სწრაფად მოსნა თავდაცვის პოზიციებიდან და ორგანიზებულად გაგზავნა მორიგი ზღუდის დასაკავებლად, თანაც თავდაცვის წინა ხაზი მთელ სიგრძეზე დაიცვა, მტერს მრავალი ხაფანგი დაუგო.

ფაშისტები იერიშისათვის მოემზადნენ და 1942 წლის 21 ივლისს დილით შეტევა დაიწყეს. ჰიტლერელთა მტერმს ყინ უღლოდა ძლიერი საარტილერიო და საავიაციო თავდასხმა, რომელიც ორ საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ კი გერმანელები იერიშზე გადმოვიდნენ ტანკებით და მოტორიზებული ქვეითი ჯარით, მტერი მხოლოდ მეორე ღღეს მოადგა 30-ე მსროლელი დივიზიის თავდაცვის ახალ ზღუდეს. ჰიტლერელები ახლა ორი ქვეითი დივიზიით, რომლებსაც ორასამდე ტანკი ეხმარებოდა, შეტევაზე გადმოვიდნენ, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. ამ დღეს ფაშისტებმა 7-ჯერ ზღუდეზედ გაიმეორეს იერიში, მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

ნტერი არ ცხრებოდა. როცა დაინახა, რომ არშინცევის მეომრების წინააღმდეგობას პირდაპირი შტურმით ვერ დაძლევდა, გადაწყვიტა ფლანგიდან „დაეტაკა. მეზობელი შენაერთის თავდაცვაში შეიჭრა, სულტანსალის რაიონში წინ წაიწია და დივიზიის მარჯვენა ფრთას დაემუქრა. მაშინ არშინცევმა გამოიყენა ტანკსაწინააღმდეგო რეზერვი, მოწინააღმდეგის 29 ტანკი მწყობრიდან გამოიყვანა და ფლანგიდან დარტყმის საშიშროება მოხსნა. მტერმა დამატებითი ძალები მოიშველია, და 30-ე დივიზია იძულებული გახდა ქვემო ნგნოლოვსკაიას რაიონში დაეხია. შენაერთის მთელი შემადგენლობა თავგანწირვით ებრძოდა ოკუპანტებს, ფაშისტების ძალები რამდენჯერმე აღემატებოდა არშინცევის დივიზიის შესაძლებლობას, ამიტომ შენაერთი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ნახევარრგალში აღმოჩნდა.

ამ ვითარებაშიც კი გამოცდილმა მეთაურმა გამოსავალი ნახა. დივიზია საწინააღმდეგოდ მდგომარეობიდან გამოიყვანა, თავისი მცირე ძალებით მოწინააღმდეგის წინსვლა დროებით შეაჩერა, მთავარი ძალები კი მდინარე დონის მეორე ნაპირზე გადაიყვანა. ამ ურთულესმა ოპერაციამ, რომელიც თავიდან ბოლომდე მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ჩაიარა, თითქმის უდანაკარგოდ იქნა

ბრძოლა ბერლინისთვის

ამხილებენ სისხლიან რეჟიმს

ნიუ-იორკი, (საკადრო). უსასტიკესი რეპრესიები, საშინელი წამება — აი ჩილეს თანამედროვე სინამდვილის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები ამ სამხედრო ხუნტის დიქტატურის პირობებში. ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ ამ ქვეყანაში მოგზაურობიდან არტურ და ნატალი უორნერებს, რომლებიც იქ ჩამოვიდნენ ამერიკელ კვაკერთა ორგანიზაციის დავალებით.

უორნერებმა მოიარეს სხვადასხვა ქალაქი, ესაუბრნენ ფაშისტური ძალმომრეობის მსხვერპლთა ოჯახებს, ეწვივნენ ციხეებსა და ტანჯვის ბანაკებს. ამ ადამიანებმა ამბავი ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი სიტყვებით: „ჩილეში ადამიანებს ასაბუთებენ, ანადგურებენ, ანადგურებენ“. ამ ბანაკებში ადამიანებს ანადგურებენ ფიზიკურად, ანადგურებენ ფსიქიკურად, ანადგურებენ ადამიანურ ღირსებას. ეს ბანაკები ფაშისტურ ბანაკებზე ნაკლებ ბოროტებას ჰგავს.

ბანაკში ადამიანებს ანადგურებენ ფიზიკურ ტანჯვა-წამებით. ბანაკში ადამიანებს ანადგურებენ ფსიქიკურ ტანჯვა-წამებით. ბანაკში ადამიანებს ანადგურებენ ადამიანურ ღირსებას. ეს ბანაკები ფაშისტურ ბანაკებზე ნაკლებ ბოროტებას ჰგავს.

ბანაკში ადამიანებს ანადგურებენ ფიზიკურ ტანჯვა-წამებით. ბანაკში ადამიანებს ანადგურებენ ფსიქიკურ ტანჯვა-წამებით. ბანაკში ადამიანებს ანადგურებენ ადამიანურ ღირსებას. ეს ბანაკები ფაშისტურ ბანაკებზე ნაკლებ ბოროტებას ჰგავს.

ეცნობიან „ლადას“, „მოსკვიჩს“

მაინის ფრანკფურტი. საბჭოთა ხტენდმა, სადაც წარმოდგენილია „ეიგულების“ („ლადა“) და „მოსკვიჩების“ ახალი მოდელები, ტრადიციული საერთაშორისო ავტოსალონის დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში მონაწილეობდა 27 ქვეყნის ათასამდე ფირმა.

საბჭოური „ლადა“ დიდად პოპულარულია დასავლეთ გერმანიის ბაზარზე. მისი იმპორტი გფრ-ში დაიწყო 1974 წელს. წლეულს კი იგი უკვე თითქმის ხუთჯერ გაიზარდა.

ხურათზე: მნახველები ეცნობიან საბჭოურ ავტომანქანებს.

ხაკლშის ფოტო.

ფოტოინფორმაცია



ნატო—დინეგის წინააღმდეგ

ხაერთაშორისო შენიშვნები

ნატო, „ცივი ომის“ ეს ყველაზე დიდი ორგანიზაცია, წლების მანძილზე ყოველთვის უპირისპირდებოდა ან უპირისპირდება დროის მოთხოვნებს.

თავისი არსებობის პერიოდში ნატოს არაერთი საფრთხე დამეჭრება, მისი ფლანგებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა დონით შეესუსტებული. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა სამხრეთ ევროპის ფლანგის სიძლიერით ყოველთვის კმაყოფილი იყო. მაგრამ დრო შეიცვალა და აქაც ცვლილება მოხდა. საფრთხეში აღმოჩნდა ეს ფლანგიც და საჭირო გახდა მისი განმტკიცება. უწინარეს ყოვლისა შეიცვალა ხელმძღვანელობა. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ახალ მთავარსარდალად სამხრეთ ზონაში დანიშნა ამერიკელი გენერალ-ადმირალი ს. ტერნერი, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას პირველ სექტემბერს შეუდგა.

ალის წინათ ნატოს გენერალურმა მდივანმა ი. ლუნსმა საინსპექციო მოგზაურობა მოაწყო ევროპის სამხრეთი ზონის ბაზებში, დაესწრო ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების მანევრებს, რომელშიც მონაწილეობდნენ შეერთებული შტატების, ინგლისის, იტალიისა და თურქეთის ორმოცზე მეტი სამხედრო ხომალდი და სამხედრო-საჰაერო ძალების ქვეგანაყოფები.

ნეაპოლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ატლანტელმა სტრატეგმა ბლოკის წევრებს მოუწოდა განაორციელონ შესაბამისი აქციები სამხრეთი ფლანგის განსაშტკიცებლად. ამასთან ლუსამ აქცარა წუხილითა და სინანულით განაცხადა, რომ ხმელთაშუა ზღვა უკვე აღარ არის „ნატოს შიდა ტბა“ (იყო დრო, როცა მას „ამერიკის ტბას“ უწოდებდნენ). გარინდებული აუდიტორია თანაგრძნობას უცხადებდა მას.

ეს მოხდა ჰელსინკამდე, სანამ სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი ევროპის კონტინენტზე მყარი მშვიდობის პრინციპების შემცველ დასკვნის აქტს მიიღებდა.

ნატოსათვის კი თითქოს არაფერი შეცვლილა, ჰელსინკის ფორუმი თითქოს არც კი ყოფილა. იგი კვლავ ამბობს, „ცივი ომი“ ეს ყველაზე დიდი ორგანიზაცია, წლების მანძილზე ყოველთვის უპირისპირდებოდა ან უპირისპირდება დროის მოთხოვნებს.

ალ ნატოს ინიციატორებმა ფიშერმა აქ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმასთან დაკავშირებით, რომ პეკინის გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოში“ „ციოლისმეშვიდლური მონაჭორება გამოქვეყნდა ამას წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გამო. როგორც ადნის საგენტო ეუწყება, ო. ფიშერმა გადაჭრით უარყო ციოლისმწამებლური გამოხდომები, რომლებსაც „ჟენმინ ჟიბაოს“ კომენტარი შეიცავს. მან განაცხადა, რომ ეს და სხვა მსგავსი პუბლიკაციები უნდა შეგვაფასოთ როგორც საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ჩარევა სუვერენული სოციალისტური გერმანიის, დემოკრატიული რესპუბლიკის შინაურ საქმეებში.

ჰელსინკის თათბირის შემდეგ, როცა ფორუმის მონაწილე ქვეყნების გარკვეული ნაწილი უკვე შეუდგა დაბაბულობის შენელების მატერიალიზაციას, „ჰელსინკის სულისკვეთების“ დანერგვას მსოფლიოს მშვიდობიმოყვარე საზოგადოებრიობა, ცხადია, აღაშფოთა ნატოს მიერ განხორციელებულმა დასავლეთ ევროპაში დაბაბულობის შენელების საწინააღმდეგო აქციამ.

მართალია, ნატოს ახლანდელი სამხედრო მანევრები წინასწარ გამიზნადებული იყო და თითქოს ვერ შეეფარებინა ნატოელებს ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტის შესაბამისი პუნქტის „ზედმიწევნით ზუსტ“ შესრულებაში, მაგრამ ნატოს ხელმძღვანელების მიერ ჩაფიქრებული და განხორციელებული საშემოდგომო სამხედრო მანევრები ევროპაში შექმნილი საერთო ვითარებას უპირისპირდება, და ასეთ აქციებს შეუძლიათ მხოლოდ დააბრკოლონ დაბაბულობის შენელების პროცესი, ხელი შეუშალონ ევროპის პოლიტიკური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას.

ჰ. ქალანდაძე.

ინფორმაციის

ეროვნული ანგარიშები

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინდოეთის ეროვნული ანგარიშები ერთ-ერთ ინტენსიურ ინფორმაციულ ბაზად ქცეულა ინდოეთის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ეროვნული ანგარიშების ინსტიტუტი ინდოეთში ეროვნული ანგარიშების ინსტიტუტ-ინსტიტუტ-ინსტიტუტ-

სტუმრად ჯაფარიძეში

წითელწყაროს რაიონის ხოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეებთან სტუმრად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილე კადრებისა და ეკონომიკის საკითხებში კარელ კინკორი და ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა მეურნეობების გენერალური დირექტორი, ჩეხოსლოვაკიის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი თეოდორ ოუგუსტი.

ჯაფარიძელებსა და ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს შორის ნამდვილი ძმური მეგობრობა დამყარდა მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ 1966 წელს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დელეგაცია. ჩეხოსლოვაკიაში უკვე ორჯერ იყვნენ ჯაფარიძელთა წარმომადგენელები.

წითელწყაროს რაიონში გამგზავრების წინ ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები ეწვივნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

— ჩვენი ორი მსხვილი მეურნეობის მეგობრობის უმქვეყნიერესი ფასეულობა ადამიანია. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, ვნერგავთ შრომის მოწინავე მეთოდებს, ეხმარებით ერთმანეთისაგან, — ამბობს თეოდორ ოუგუსტი. ჩვენი მეურნეობა, ამბობს იგი, მოწინავეა ჩეხოსლოვაკიაში, საბჭოთა მეურნეობების ამ გაერთიანებაში, რომელიც „ბელინის“ სახელწოდებას ატარებს, შედის ჩვენი ქვეყნის სამი სასოფლო-სამეურნეო რაიონი. ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენს ქვეყანაში მოყვანილი ხილის ერთ მესამედზე მეტს. ეს არის ვაშლი, მსხალი, ყურძენი. მეურნეობის წლიურმა შემოსავალმა ორ მილიონ მანეთს გადააჭარბა. საშუალოდ ჰექტარ საკარგულებზე შარშან ძვირფასი ცხრა ცენტნერი მარცვლეული, ორას ოთხმოცი კილოგრამი ხორცი და 850 ლიტრზე მეტი რძე. ჩვენს პირობებში ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

ახლა გადავწყვიტეთ განსაკუთრებული ყურადღება მივაყოთ ყურძნის წარმოებას. ახალ ფართობებზე ვიყენებთ ისეთ მწკრივთაშორისებს, როგორიც ჯაფარიძელებს აქვთ.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა თქვა, რომ ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა მეურნეობების მეთოდით კოლმეურნეობაში შექმნილია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი პუნქტი, ავებულია საკვების საამქრო, დადგმულია ელექტროსაწველი, საიდანაც რძეს უშუალოდ ცისტერნებში აწვდიან.

სტუმრები ერთ კვირას დაჰყოფენ წითელწყაროს რაიონში. ამ ხნის განმავლობაში ინახულებენ მინდვრებსა და ფერმებს, გაეცნობიან კაბეთის რაიონების მშრომელთა ცხოვრებასა და შრომას.

ვლ. გინჯბურგი.

სურათზე: მარჯვნიდან — კარელ კინკორი, თეოდორ ოუგუსტი და ნიკოლოზ ყოჩიაშვილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

ალბერის ფოტო.

რ. ჯიაურელი



ეგი დღენიადაგ ფუტკარივით ფუსფუსებდა, ცდილობდა ყველაფერი მოესწრო, თითქოს გრძნობდა, რომ ასე ნაადრევად მოგესწრაფებოდა სიცოცხლე, მართლაც, 49 წელი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკია, როცა მხატვრის ნიჭს ცხოვრებისეული სიბრძნის მაღლი ამკობს.

მან არ იცოდა დიდი და პატარა საქმე, ყველაფერს ერთნაირი სიყვარულით, ერთნაირი გატაცებით ეკიდებოდა, ხშირად უთქვამს ერთი კარგი ეპიზოდი სრულიად მთელ უბრალო ფილმსო.

პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი შემოქმედების ძნელ გზაზე **რამაზ მიხეილის-ძე ჯიაურელმა** 1950 წელს გადადგა, როცა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგა სპექტაკლი „მოსკოვიდან დაშორებით“. აქედან მოყოლებული მის შემოქმედებითს ანაკვეთს ავსებს ნელ-ნელად გრძელი ხუსხა სპექტაკლების, რადიოდადგმების, კინოფილმებისა, რომლებიც გამოიჩენენ ეკუმპორტი მოქალაქეობრივი პათოსითა და ხალასი ნიჭიერებით.

დიდი ღვაწლი დასდო რ. ჯიაურელმა ქართულ დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარულ კინემატოგრაფას. მის მიერ შექმნილი ფილმები გასცდა რესპუბლიკურ და საკავშირო ეკრანს. იგი იყო ბევრი კინოფესტივალის ლაურეატი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სამატიო წოდება.

იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შემოქმედების ერთგული დარჩა. მისი სამონტაჟო მაგიდიდან ჯერაც აუოგებელია მასალა ახალი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისა, რომელიც მაყურებელს გაიცნობს ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს.

ქართულმა კინემატოგრაფიმ უაღრესად მძიმე დანაკლისი განიცადა. წავიდა ჩვენგან ალალი კაცი და ნიჭიერი მხატვარი, რომელსაც ბევრი, ძალიან ბევრი რამ დარჩა უთქმელი.

საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს ლოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; საქართველოს საბჭოეთიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია.

ქურნალების ახალი ნომრები

„საბჭოთა მედიცინა“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიურ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 10

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეათე ნომერი.

დიდი მოგება

ჭიათურა. (საინფორმის კორ.). ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მომპარაგების განყოფილების თანამშრომლმა ეუტუნა ნოზაძემ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულის და ნივთების 1975 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის ბილეთი № 161, სერია 63326, რომელსაც წილად ხვდა დიდი მოგება — ავტომობილი „ჟიგული“.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. თ. გ. ჯაფარიძე დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. ი. ნიკურაძე გათავისუფლა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის-მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორის მოადგილე

ბ. თათარიშვილი.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გარდაბნის საწარმოო-საგზაო უბნის უფროსი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, საპატიო გზის მუშაკი და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი

ზაქარია აბრამის-ძე ჭიჭინაძე

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ანცხადებს 1975-1976 სასწავლო წლისათვის სტუდენტების მიღებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაუსწრებლად სწავლებაზე შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომია (ქართული და რუსული სექტორები), **2. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, 3. აგრომელიორაცია; 4. ხოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; 5. საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში; 6. ხოფლის მეურნეობის მექანიზაცია** (ქართული და რუსული სექტორები); **7. სატყეო მეურნეობა** (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს ანარებენ: ა) აგრონომიულ, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი); ბ) სპეციალობებზე: სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა* (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი); გ) სატყეო-მეურნეობის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა* (წერა), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი); დ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა* (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

რუსულ სექტორზე შემსვლელნი ანარებენ გამოცდას ქართული ენისა და ლიტერატურის ნაცვლად — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, ანარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ესინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას ანარებენ სხვა საგანსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, ანარებენ გამოცდას მხოლოდ იმ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით.

აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ესინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ და „სამი“ შეფასების მიღებისას ანარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით. ჩარიცხვა — 1975 წლისათვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

აგრონომიულ, აგრომელიორაციის, სატყეო მეურნეობის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობებზე მიღებიან მხოლოდ ის პირნი, ვინც მუშაობს სასწავლებლად არჩეული სპეციალობით.

განცხადება სასწავლებლად შემოსვლის მსურველთა შემოაქვთ რექტორის სახელზე.

განცხადებას დაერთვის: 1. საშუალო განათლების საბუთი (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან (სადაც ასეთი არ არის, შემცველი საბუთიდან), დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულნი ადგენენ ცნობას სამხედრო კომისარიატიდან.

ჩარიცხვისას დიდი მნიშვნელობა აქვს შემომსვლელის შრომითის მაჩვენებლებს, ამიტომ კოლმეურნეობათა მიერ გაცემულ ცნობაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს დაწესებული მინიმუმი მოცემული წლისათვის, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ამ მუშაკების მიერ წარმოდგენილ ცნობებში, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ხელფასი, აღნიშნული უნდა იყოს ყოველთვიური გამომუშავება და მიეთითოს მუშის საშუალო გამომუშავება მოცემული წლისათვის.

4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ; ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ: პასპორტს და სამხედრო ბილეთს (სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 30 დეკემბრამდე. ყოველდღე (გარდა კვირისა) 14 საათიდან 18 საათამდე. მისაღები გამოცდები — 2 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში. ჩვენი მისამართია: თბილისი 31, დიღომი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ავტობუსი № 27, მეტროს სადგურ „დიდუბიდან“ ავტობუსი № 54.



საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

ანცხადებს სტუდენტთა მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ზოოტექნიკური ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორები) — ზოოინჟინრის სპეციალობით. **2. საველტერინარო ფაკულტეტი** (ქართული სექტორი) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე მიიღებიან სრული საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში.

საველტერინარო ფაკულტეტზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო საველტერინარო განათლება და მუშაობენ სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტში შემომსვლელთათვის მოეწყობა მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი). რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები ან სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, ანარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ესინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას ანარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

მიღების წესებით გათვალისწინებული უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ, საკონკურსო შერჩევის საფუძველზე პირველ რიგში ჩარიცხებიან ის პირები, რომელთა სამუშაო შეესაბამება უმაღლესში არჩეულ სპეციალობას, თუ ისინი ამ სპეციალობით მუშაობენ არანაკლებ ექვსი თვისა, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მომსახურენი, იმასთანავე ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად იგზავნებიან სასწავლებლად ან სპეციალობაზე, რომელიც შეესაბამება შემომსვლელის მუშაობის ხასიათს და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე. არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დართოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის ჩაბარებული საგნების შესახებ, 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. 3. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელიც ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების. სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკიდან ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მოვლინებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოდგინონ ერთიანი ფორმის მომართვა სასწავლებელში მიგლინების შესახებ. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ოთხი ეკოფოსოფოტო (გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული) ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემომსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 30 დეკემბრამდე ყოველდღე გარდა კვირა დღისა 12-დან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1976 წლის 3 იანვრიდან 20 იანვრამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კრწანისი. საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი. ავტობუსი № 23.



თელავის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო გიწვევთ სამოგზაუროდ 1975 წლის 3 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე ტურისტულ მატარებელ „კახეთით“

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ მოგზაურობაში ჩვენი სამშობლოს ქალაქებში შემდეგი მარშრუტი:

თელავი-კიევი-ლვოვი-უჟგოროდი-მუკაჩევო-რახოვი-იასენჩა-ხერნოვცი-კიშინიოვი-ოდესა-ხერსონი-სევასტოპოლი-თელავი. ღირებულება 150 მანეთი.

ღირებულებაში შედის მგზავრობა, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორანში და საექსკურსიო მომსახურება.

ტურისტული მატარებელი შედგება 12 ნახევრადრბილი კუპირებული ვაგონისაგან და 3 ვაგონ-რესტორანისაგან.

მიიღება კოლექტიური და ინდივიდუალური განცხადებები **მისამართით: თელავი, ხაკაძის ქ. № 23-ა საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო.** ტელ: 22-47, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, რუსთავის საექსკურსიო სამოგზაურო ბიურორებში.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საცხოვრებელი მეურნეობის ხელმძღვანელების და საცხოვრებელი სახლების მფლობელების საყურადღებოდ!

იწყება ზამთრის თბობის სეზონი. რომელიც სახანძრო თვალსაზრისით წლის ყველაზე საშიშ პერიოდს წარმოადგენს.

დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენეთ აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად, რათა მომზადებულად შეხვდეთ ზამთრის თბობის სეზონს.

საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს ნიმაყოფილოგიური სახანძრო საზოგადოება.

რაც თვალს ჰრ გამოეპარა

დავიწყებული მშენებლობა

ხოფელ ყარათუბანი დიდი მანძილით როდის დაცილებული ადიგენის რაიონულ ცენტრს. მაგრამ არც სიახლოვემ უშველა სოფელს, რომ ყურადღება მიექცია და ეზრუნა მისი კეთილმოწყობისათვის.

ამას წინათ ყარათუბანში ვიყავით. გზახ პირას ერთ დაუმთავრებელ შენობას მოგკარით თვალი. მხოლოდ პირველი სართულის კედლები იყო ამოყვანილი. შენობის ერთი კუთხე, ფასადის მხარეს, ჩამონგრეულია. ჩამონგრეული ქვები და ზოგიერთი სხვა გაუხარჯავი სამშენებლო მასალა ბალახს დაუფარავს. ეტყობა, მშენებლებს დიდი ხნის წინათ მიუტოვებიათ.

როცა დავინტერესდით ამ დავიწყებული მშენებლობის ბედით, სოფლელებმა გვიპასუხეს, კლუბიაო, ისე ინერვეა, დამთავრებაც არ ეღირსაო.

მისი მშენებლობა ჯერ კიდევ კოლმეურნეობას, 1967 წელს დაუწყია. პირველი სართულის კედლები იმავე წელს ამოუშენებიათ. სოფლელებს უხარიათ, მშენებლობის ტემპი თუ ასე გაგრძელდა, მალე ახალი კლუბი გვექნებაო. მაყურებელთა დარბაზი 250 ადგილზე იყო გათვალისწინებული. მხატვრული თვითმოქმედი წრეებისათვის ექნებოდა სხვადასხვა ოთახები. ორ-ორი ოთახი კი დაეთმობოდა სასოფლო ბიბლიოთეკასა და მაღაზიას. მაგრამ სოფლის მშრომელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა. 1968 წელს, როცა ყარათუბანი შეუერთდა ადიგენის სტყეო მეურნეობის დამმარე საბჭოთა მეურნეობას, კლუბის მშენებლობაც შეწყდა.

მას შემდეგ ბევრმა დრმ განვლო, ერთი წლის წინათ კი, როცა სტყეო მეურნეობის დამმარე საბჭოთა მეურნეობა გაუქმდა, ყარათუბანი ასლად შექნილი ადიგენის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონუბანი გახდა. კოლმეურნეობის შემდეგ სოფელმა ოთხი თავკაცი გამოიცვალა. მაგრამ არავის არ გახსენებია სასოფლო კლუბის ნახევრად მიტოვებული მშენებლობა. სხვა თუ არაფერი, მასზე გახარჯული თანხა და გაწეული შრომა აღარ ენანებათ? წყალში რატომ უნდა გადაიყაროს ხალხის ნაშრომ-ნაამაგარი?

სანტერესოა, ამ მიტოვებული სასოფლო კლუბის მშენებლობაზე ახლა რას ფიქრობს ადიგენის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექცია ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება? მათ ხომ კარგად იციან, რომ სოფელს კლუბი სჭირდება.

შ. მაისურაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში

მეაფრ ცაიტნოტეი

მეოთხე პარტია ალექსანდრიამ კვლავ მეფის წინა პაიკით დაიწყო. ამის საპასუხოდ მსოფლიოს ჩემპიონმა აირჩია სკანდინავიური პარტია, რომელიც სერიოზულ პარტიებში უაღრესად იშვიათად გვხვდება. გაფრინდაშვილი ამ დებიუტის კარგ მცოდნედ თვლება და დროგამოშვებით მიმართავს მას.

პარტიის სადებიუტო ნაწილი ალექსანდრიამ კარგად წარმართა, საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველ 13 სვლას პრეტენდენტმა მხოლოდ ოთხი წუთი მოანდომა, გაფრინდაშვილმა კი — 9 წუთი. მე-14 სვლაზე პრეტენდენტი უკვე ხანგრძლივად ჩაფიქრდა და ეს გასაგებიც იყო. მას უნდა მოეხდინა არჩევანი უაღრესად მწვავე გაგრძელებისა, რომელიც გრიელ როქთან იყო დაკავშირებული და მეორე გეგმას შორის, სადაც თერეფი თანდათანობით ავიწროებდნენ მეტოქის განლაგებას. პრეტენდენტმა **მეორე** გაგრძელება აირჩია.

მე-15 სვლაზე გაფრინდაშვილმა 45 წუთი იფიქრა და წამოიწყო კონტრთამაში ლაზიერის ფრთაზე. მას პაიკის დათმობა მოუხდა. უაღრესად მწვავე პოზიციაში ორმხრივი შინსებით მეტოქეებს ცოტა დროდა დარჩა.

26-ე სვლაზე პრეტენდენტს სერიოზული შეცდომა მოუვიდა და შავები მთლიანად დაეუფლენ ინიციატივას. ლაზიერების გაცვლას შემდეგ წარმომქმნილი ენდშპილი ამკარად გაფრინდაშვილისათვის სასარგებლო იყო. შავების 38-ე სვლის შემდეგ ალექსანდრიამ დაკარგა ფიგურა და შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მეოთხე პარტია

ალექსანდრია-გაფრინდაშვილი

სკანდინავიური პარტია

1. e4 d5 2. ed ∅f6 3. ∅b5+ ∅d7 4. ∅c4 ∅g4 5. f3 ∅c8 6. ∅c3 ∅bd7 7. d4 ∅b6 8. ∅b3 ∅b:d5 9. ∅:d5 ∅:d5 10. c4 ∅f6 11. ∅e3 c6 12. ed2 g6 13. ∅ge2 ∅g7 14. 0-0 0-0 15. ∅ad1 b5 16. cb cb 17. d5 a5 18. a3 ∅a6 19. ∅fe1 ed7 20. ∅gh1 a4 21. ∅a2 ∅fc8 22. ∅d4 b4 23. ab ∅c4 24. ∅:c4 ∅:c4 25. ∅c5 ed5 26. ∅c3 ∅d7 27. ∅:e7 a3 28. ∅c4 ∅:e4 29. fe ed5 30. ed5 ab 31. ed:e5 ∅:e5 32. ∅b1 f6 33. b5 ∅b6 34. ∅a3 ∅c8 35. ∅b4 ∅c1 36. ∅e1 ∅d6 37. ∅d2 ∅:e1 38. ∅:e1 ∅:a3 თეთრები დანებდნენ.

მორიგი, მეხუთე პარტია გაიმართება ოსტატურად ითამაშა სტუმრებმა ნიკოლოზ ყოჩიაშვილი ბაკურ ალადაშვილ-ზე. ეს ბრძოლა ერთ-ერთ ლამაზ ბრძოლად ითვლება. ალადაშვილმა ალბერ ალადაშვილ-ზე ორ ბრძოლაში ერთ-ერთ ლამაზ ბრძოლად ითვლება.